




უკრაინაში მიმდინარე ომით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, 2022 წლის მე-2 კვარტალში საქართველოს ეკონომიკაში მდგრადობის ნიშნები ფიქსირდება

ავტორები: იაროსლავა ბაბიჩი, არჩილ ჩაფიჩაძე, ნინო სარიშვილი

შეჯამება

2021 წელს დაფიქსირებული მოსალოდნელი აღდგენის შემდეგ, 2022 წელს გლობალური ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად გაუარესდა ([IMF, July 2022](#)). 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრამ, 2020 წლის შემდეგ პირველად, გამოიწვია გლობალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ვარდნა. უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის პირდაპირი შედეგების გარდა (ნავთობისა და გაზის ფასების ზრდა, ძირითადი საკვების გლობალური დეფიციტი), მზარდმა ინფლაციამ შეერთებულ შტატებში, ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში ფინანსური პირობების გაუარესება გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის საერთაშორისო ბაზრებზე სესხის აღება გაართულა. გარდა ამისა, ჩინეთში COVID-19-ის ბოლოდროინდელი აფეთქებით გამოწვეულმა იზოლაციამ და რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა შეანელა ჩინეთის ეკონომიკური ზრდა. ამ მოვლენების გამო, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შარშან არსებული 6,1%-დან 3,2%-მდე შეამცირა. IMF-ის ვარაუდით, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში 2022 წელს ნელი, მაგრამ ზომიერი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდება: [სომხეთში](#) (წლიური +1.5%), [აზერბაიჯანში](#) (წლიური +2.8%) და [თურქეთში](#) (წლიური +4%). მეორე მხრივ, მოსალოდნელია [რუსეთის](#) ეკონომიკის ზრდა უარყოფით ნიშნულზე დარჩეს (წლიური -6%). შემცირდა განვითარებადი ბაზრების ეკონომიკის (EMDE) ქვეყნების მოსალოდნელი ზრდის მაჩვენებელიც. ამჟამად, მათი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წლიურ 3,6%-ს შეადგენს, 2021 წლის 6,8%-იანი ზრდის ფონზე ([IMF, July 2022](#)).

საქართველოში ზრდის პროგნოზმა წელს მოულოდნელი ბიძგი მიიღო. [საქსტატის მიერ ჩატარებული მთლიანი შიდა პროდუქტის \(მშპ\) ზრდის მაჩვენებლის უახლესი შეფასებით](#), სამომხმარებლო მოთხოვნის მაღალი მაჩვენებლის გამო, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2022 წლის მე-2 კვარტალში 7,1%-ს შეადგენდა ([საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022 წლის აგვისტო](#)). ეს, ნაწილობრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების გაზრდილი შემოდინებით და რუსეთიდან ფულადი გზავნილების უპრეცედენტო რაოდენობით (მაგ., 2022 წლის პირველ შვიდ თვეში რუსეთიდან გზავნილების შემოდინების მაჩვენებელი შვიდჯერ აღემატება 2021 წლის იმავე პერიოდში არსებულ შემოდინების მაჩვენებელს). საგარეო სექტორის გაუმჯობესებისა და მაღალი საკრედიტო აქტივობის გამო, ეროვნული ბანკის პროგნოზირებული რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 4,5%-დან 9%-მდე დაკორექტირდა ([სებ, 2022 წლის მაისი](#)). ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2022 წლისთვის წლიურ 13,8%-ს შეადგენს (იხ. გრაფიკი 1). ეკონომიკურ ზრდას დადებითი გავლენა ექნება ინფლაციაზეც, რომელმაც უკვე ორნიშნა ციფრს მიაღწია და 2022 წლის აგვისტოში წლიური 10,9% შეადგინა ([საქსტატი, 2022 წლის სექტემბერი](#)).



ინფლაცია

2022 წლის მე-2 კვარტალში სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) საშუალო კვარტალური ინფლაცია 13%-ს შეადგენდა, რაც 10 პროცენტული პუნქტით აღემატება მიზნობრივ 3%-ს ([საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022](#)). [საქსტატის 2022 წლის მონაცემები](#) მიუთითებს, რომ ინფლაციის ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებს შორის იყო სურსათისა და უაღკოპოლო სასმელებზე ფასების ზრდა, წლიური 21.7%-ით (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 7 პროცენტულ პუნქტს შეადგენს); ტრანსპორტის ფასები წლიური 20.6%-ით (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 2.7 პროცენტულ პუნქტს შეადგენს); კომუნალური გადასახადები, წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვა საწვავი – წლიური 12.8%-ით (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 1.16 პროცენტულ პუნქტს შეადგენს).

ასეთი მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც COVID-19-ს, ისე – ომს უკრაინაში. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გაამწვავა პანდემიით გამოწვეული უკვე არსებული სტრესი სასაქონლო ბაზარზე. ომმა შეასუსტა COVID-19-ით გამოწვეული ხარვეზების მქონე მიწოდების ჯაჭვებიც და გააღრმავა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი და უკრაინა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან, მიმდინარე ომი პირდაპირ აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

გაეროს მონაცემთა გლობალური ბაზის მიხედვით ([Comtrade](#)), ომამდე ხორბლის გლობალური ექსპორტის დაახლოებით მეოთხედს რუსეთსა და უკრაინიდან ექსპორტირებული ხორბალი შეადგენდა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზის თანახმად ([“Food Outlook”](#) ივნისი, 2022), მოსალოდნელია, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ხორბლის გლობალური წარმოება მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის გამო 0,8%-ით შემცირდეს. ამავდროულად, FAO-ის ხორბლის ფასების ინდექსი 2022 წლის იანვარ-მაისის პერიოდში წლიური 45.5%-ით გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ინფლაციის ზრდას. ხორბლის გლობალური ფასის ზრდით გამოწვეული ეფექტი კიდევ უფრო საგრძნობი იყო საქართველოსთვის რუსულ ხორბალსა და ხორბლის ფქვილზე დამოკიდებულების გამო (2021 წელს, იმპორტირებული ფქვილის 97%-ს რუსული ფქვილი შეადგენდა). ძირითადი საკვები პროდუქტებისა და ცხოველების საკვების დარგში რუსეთის ბაზარზე ამგვარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია გაურკვეველობა და გააჩინა შიში საქართველოში სასურსათო დაუცველობასთან დაკავშირებით.



ამავდროულად, რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა ენერგორესურსების გაყიდვის შესახებ, გამოიწვია საწვავის გლობალური ზრდა. შესაბამისად, საწვავის ფასის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ქართულ ბაზარზეც.

გარდა ამისა, მიგრირებულთა უპრეცედენტო ნაკადმა, განსაკუთრებით, რუსეთიდან (დაახლოებით 100 000 რუსეთის მოქალაქე დარჩა საქართველოში 2022 წლის თებერვლიდან მასამდე), გაზარდა მოთხოვნის ზოგადი მაჩვენებელი. შემოდინებულთა დიდი ნაკადის გამო გაიზარდა უძრავი ქონების დაქირავების მოთხოვნა, რამაც გამოიწვია აღნიშნულზე ფასების ზრდაც. [TBC Capital-ის](#) პუბლიკაციის თანახმად, უძრავი ქონების გაქირავების ფასების ზრდა 2022 წლის მარტიდან დაიწყო და აპრილში ზრდის მაჩვენებელი უკვე წლიურ 83%-ს შეადგენდა. უძრავი ქონების ნასყიდობის ფასები კი 2011 წლის მაჩვენებელს 11%-ით აღემატებოდა.

ძლიერი ინფლაციური შოკის მიუხედავად, [საქართველოს ეროვნული ბანკი](#) ინფლაციის ეტაპობრივ შემცირებას 2022 წლის ბოლოსთვის პროგნოზირებს მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა და მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის კომბინაციით.

გარე სექტორი: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა გაზრდილი საგარეო მოთხოვნა, რაც გამოწვეული იყო წარმოების აღდგენითა და საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური გაძლიერებით. შედეგად, გაუმჯობესდა მიმდინარე ანგარიში. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი თითქმის 50%-ით შემცირდა 2021 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით და თითქმის 60%-ით – 2022 წლის 1-ელ კვარტალთან შედარებით და 252.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც კვარტალური მშპ-ის მხოლოდ 4.2%-ია.

2022 წლის მე-2 კვარტალში საქართველოს საგარეო ვაჭრობა წლიური 35%-ით გაიზარდა, რაც გაზრდილი ექსპორტითა და იმპორტით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, გაიზარდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რამაც 1 895 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნული ზრდის ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორი საბაზო ეფექტი არ არის.

საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიური 29.8%-ით გაიზარდა ([საქსტატი, 2022](#)). [ეროვნული ბანკის](#) (2022 წლის აგვისტო) თანახმად, ამგვარი ზრდა, უმეტესწილად, ექსპორტირებული საქონლის ფასების ზრდით იყო განპირობებული, მაშინ, როდესაც საქონლის ექსპორტის რეალური მაჩვენებელი არ შეცვლილა. ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო ბულგარეთში განხორციელებული ექსპორტით (სპილენძის მადნებითა და კონცენტრატებით გაზრდილი ვაჭრობის გამო ([სებ, აგვისტო 2022](#))) (წლიური +6.3 პროცენტული პუნქტი მთლიან ზრდის მაჩვენებელში), აგრეთვე, ექსპორტით თურქეთში (წლიური +6.1 პპ), პერუსა (წლიური +6 პპ) და სომხეთში (წლიური +5.4 პპ). არსებული შეიარაღებული კონფლიქტის გამო, ექსპორტი უკრაინაში 1-ელ კვარტალთან შედარებით 24%-ით შემცირდა, ექსპორტი რუსეთში კი 34%-ით გაიზარდა 2022 წლის 1-ელ კვარტალთან შედარებით და მხოლოდ წლიური 7%-ით შემცირდა ([საქსტატი, 2022](#)).

ექსპორტის ამგვარი ზრდა განპირობებული იყო შუალედური საქონლის გაზრდილი ექსპორტით (ძირითადად მაღალი ფასების გამო). მიუხედავად ამისა, მთლიან ექსპორტში, სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის წვლილი მცირე იყო ([სებ, აგვისტო 2022](#)). აღსანიშნავია, რომ ავტომობილების ექსპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქონლის ექსპორტის ზოგად მაჩვენებელში (წლიური +16,3 პპ), რასაც მოჰყვა რკინის შენადნობების ექსპორტისა (წლიური 13,2 პპ) და ახალი ყურძნის ღვინის ექსპორტის (წლიური 5 პპ) წვლილი.

იმპორტი წლიური 37.3%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო მზარდი ეკონომიკური აქტივობითა და გაზრდილი შიდა მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ იმპორტის ღირებულების ზრდას ხელი შეუწყო მსოფლიო ფასების ზრდამაც აშშ დოლარში ([სებ, აგვისტო 2022](#)). იმპორტის გაზრდილი მაჩვენებელი, უმეტესწილად,



გამოწვეული იყო რუსეთიდან განხორციელებული გაზრდილი იმპორტით (წლიური +7 პპ), რომლის კონტრიბუცია აღემატება ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი იმპორტის კონტრიბუციას (წლიური + 6.9 პპ). ამის საპირისპიროდ, მიმდინარე ომის გამო, შემცირდა იმპორტი უკრაინიდან. რეგიონის ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებლები კი შემდეგნაირად გამოიყურება: თურქეთი (წლიური +5.95 პპ) და სომხეთი (წლიური +2.84 პპ). გაიზარდა იმპორტი აშშ-დან (წლიური 5.88 პპ) და ჩინეთიდანაც (წლიური 4.23 პპ).

იმპორტის ზრდის მთლიან მაჩვენებელში მთავარი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტმა. სამომხმარებლო საქონლის შემთხვევაში, მთავარი კონტრიბუტორები არიან ავტომობილები (წლიური +18,9 პპ), საწვავი და ნავთობპროდუქტები (წლიური +13,9 პპ), მედიკამენტები (წლიური +4,6 პპ), შუალედური საქონლის შემთხვევაში კი – სპილენძის ნედლეული და კონცენტრატები (წლიური +7.3 პპ). საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემთხვევაში, იმპორტის ზრდის მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია მონაცემთა ავტომატური დამუშავების მანქანებისა და მათი ნაწილების გაზრდილმა შესყიდვებმაც (წლიური +2.2 პპ).

მიუხედავად დამაბული გეოპოლიტიკური სიტუაციისა (და, ნაწილობრივ, ამის გამოც), საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი გაიზარდა. 2022 წლის მე-2 კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა გაიზარდა წლიური 176%-ით და 922,221 ვიზიტი შეადგინა, რაც 2021 წლის განმავლობაში რეგისტრირებული საერთაშორისო ვიზიტების მთლიანი რაოდენობის ნახევარზე მეტია ([GNTA, 2022](#)). მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორთა 55% მეზობელი ქვეყნებიდან იყო, განსაკუთრებით შესამჩნევია ვიზიტორების ზრდა რუსეთიდან (წლიური +411%-ით) და სომხეთიდან (წლიური +334%-ით). ამ ორი ქვეყნიდან ვიზიტორთა ჯამი საერთო ვიზიტორთა რაოდენობის მესამედზე მეტს შეადგენს. საერთაშორისო ვიზიტორების გაზრდილმა რაოდენობამ დადებითი გავლენა იქონია საერთაშორისო მოგზაურების მიერ გენერირებულ შემოსავალზეც, რომელიც 2022 წლის მე-2 კვარტალში სამჯერ გაიზარდა (2021 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით) და თითქმის 2019 წლის იმავე პერიოდში არსებულ მაჩვენებელს მიაღწია ([NBG, 2022](#)). 2021 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით, შემოსავალი რუსი ვიზიტორებისგან თითქმის ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო შემოსავალი ბელორუსი ვიზიტორებისგან – ცხრაჯერ. ქვეყანაში შემოსული რუსი და ბელორუსი ვიზიტორების მზარდი რაოდენობის გამო, ბუნებრივია, მოსალოდნელია საერთაშორისო მოგზაურებისგან გენერირებული შემოსავლის მკვეთრი ზრდა.

მე-2 კვარტალში საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობამ 1,24 მლრდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურ 112,7%-იან ზრდას წარმოადგენს. ფულადი გზავნილების ზრდის მთავარი წილი რუსეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებზე მოდის, რომელიც წლიური 551%-ით გაიზარდა და მთლიანი ფულადი გზავნილების 54% შეადგინა. 2022 წლის მე-2 კვარტალში, აგრეთვე, გაიზარდა სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობა ყაზახეთიდან (წლიური +480%), ყირგიზეთიდან (წლიური +347%), იტალიიდან (წლიური +11%), აშშ-დან (წლიური +9%) და გერმანიიდან (წლიური +43%). მიუხედავად ამისა, შემცირდა ვალუტის შემოდინება საბერძნეთიდან (წლიური -8%) და თურქეთიდან (წლიური -5%). ომის გამო, ვალუტის შემოდინება მკვეთრად შემცირდა უკრაინიდანაც (წლიური -99%).

2022 წლის მე-2 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 351.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 9.07%-ით მეტია 2021 წლის მე-2 კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით ([საქსტატი, 2022](#)). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმრავლესობა განხორციელდა ენერჯეტიკის (21.8%), უძრავი ქონების (21.5%), ფინანსურ (13.5%), საწარმოო (11.5%) და სამშენებლო (7.6%) სექტორებში.

საჯარო ფინანსები

საერთო ბიუჯეტში მთლიანმა შემოსავალმა 4.67 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 33.7%-ით მეტია ([ფინანსთა სამინისტრო, 2022](#)). ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მოგების (წლიური +254.3%) და დამატებული ღირებულების (წლიური +20.4%) გადასახადებით მიღებული გაზრდილი



შემოსავლებით და, ასევე, სხვა შემოსავლებით (წლიური + 63.1%). მიმდინარე სამთავრობო ხარჯები 2022 წლის მე-2 კვარტალში 6.4%-ით გაიზარდა და 4 მილიარდი ლარი შეადგინა. ასეთი ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო გაზრდილი სუბსიდიებითა (წლიური 21.8%) და საქონლისა და მომსახურებების (წლიური +11.8%) გაზრდით. გარდა ამისა, არაფინანსური აქტივების შეძენის წილი წინა კვარტალში -2.5%-ით შემცირდა და 806.8 მლნ ლარი შეადგინა. 1-ელ კვარტალში დაფიქსირებული ბიუჯეტის პროფიციტის შემდეგ, მე-2 კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტმა 143.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც ძლიერი ფისკალური სტიმულით იყო გამოწვეული.

მთავრობის სავალო ვალდებულებები (რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალს) წინა წელთან შედარებით 5.0%-ით შემცირდა და 28,1 მლრდ. ლარი შეადგინა ([საქსტატი. 2022](#)). გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 77,9%-ის ტოლია, რაც ქვეყნის გაცვლით კურსთან დაკავშირებულ რისკებზე მიუთითებს.